გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2025 წლის კონკურსი

ხშირად დასმული კითხვები

კვლევის ტიპები და მასთან დაკავშირებული კითხვები

1. **დანერგვითი კვლევების პროგრამის წარდგენის შემთხვევაში სავალდებულოა თუ არა წარმოდგენილი პატენტი იყოს ძალაში?**

პასუხი: კონკურსის პირობებით, დანერგვითი კვლევის იდეა უნდა ეფუძნებოდეს საქართველოში ან/და უცხოეთში გაცემულ პატენტს, რომელიც ძალაში იქნება კონკურსის გამოცხადების დღიდან მინიმუმ 2 წლის ვადით.

2. **საპილოტე კვლევების პროგრამის წარდგენის შემთხვევაში სავალდებულოა თუ არა წარმოდგენილი პატენტი იყოს ძალაში?**

პასუხი: კონკურსის პირობებით, პილოტირების კვლევითი იდეა უნდა ეფუძნებოდეს საქართველოში ან/და უცხოეთში გაცემულ პატენტს, რომელიც ძალაში იქნება კონკურსის გამოცხადების დღიდან მინიმუმ 2 წლის ვადით.

3. **კონცეფციის ლოტში, შესაძლებელია თუ არა პატენტუნარიანობაზე დადებითი დასკვნა საქპატენტის გარდა გასცეს სხვა ორგანიზაციამ?**

პასუხი: კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მისაღებია მხოლოდ საქპატენტის მიერ გაცემული დადებითი დასკვნა პატენტუნარიანობაზე.

4. **ერთი და იგივე პატენტის გამოყენება თუ შეიძლება სხვადასხვა პროექტში?**

პასუხი: არ იკრძალება

5. **ახლად მიღებული პატენტით შემიძლია თუ არა მონაწილეობა მივიღო კონცეფციის დამტკიცების მიმართულებით აღნიშნულ გრანტში ანუ პირველ ლოტში?**

პასუხი: კონცეფციის დამტკიცების ლოტში უკვე არსებული პატენტით ვერ მიიღებთ მონაწილეობას.

უკვე არსებული პატენტით მონაწილეობის მიღება შეგიძლიათ კონკურსის მეორე ან მესამე ლოტში, კერძოდ, საპილოტე კვლევების პროგრამა ან დანერგვითი კვლევების პროგრამა.

6. **კონცეფციის დამტკიცების შემთხვევაში შეიძლება თუ არა, რომ პროექტი წარადგინოს ორმა კვლევითმა ორგანიზაციამ?**

პასუხი: არ შეიძლება. კონცეფციის დამტკიცების კვლევითი პროექტისათვის პროექტში მონაწილეობა და გრანტის მიღება შეუძლია ძირითად პერსონალს-მკვლევართა გუნდს წამყვან ორგაანიზაციასთან ერთად.

7. **პროექტში ჩართული მხოლოდ წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცია ჩაითვლება თუ არა კონსორციუმად?**

პასუხი: კონკურსის პირობებით, კონსორციუმი არის ორი ან მეტი იურიდიული პირისაგან შემდგარი გაერთიანება, რომლის შემადგენლობაში შედის წამყვანი და პარტნიორი ორგანიზაციები. კონსორციუმში შეიძლება ასევე შედიოდეს თანამონაწილე ორგანიზაცია.

სხვა პროექტებში ჩართულობა

8. **რა შეზღუდვები არსებობს პროექტის ძირითადი პერსონალის სხვა პროექტში ჩართულობასთან დაკავშირებით?**

პასუხი: კონკურსში მონაწილეობის უფლება **ძირითადი პერსონალის სტატუსით** არ აქვს პირს, რომელიც ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართულია ფონდის მიერ გამოცხადებული და ადმინისტრირებული სამეცნიერო-კვლევითი კონკურსის შედეგად დაფინანსებულ, ჯამში ორზე მეტ პროექტში. ეს პირობა გულისხმობს, როგორც კონკურსში წარდგენილ, ასევე უკვე დაფინანსებულ მიმდინარე პროექტებში ჩართულობას. ეს სამეცნიერო-კვლევითი კონკურსებია: ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები - (FR); გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები (AR); მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი (STEM); ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების საგრანტო კონკურსი (YS); საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისთვის სახელმწიფო საგრანტო კონკურსი (HE); ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი (GSDP); სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსი (SL); სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი პროექტები; უცხოელ თანამემამულეთა მონაწილეობით კვლევების საგრანტო კონკურსი (DI); კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის (CS) პირველი ლოტი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო ღონისძიებების საგრანტო

კონკურსის (OTG) პირველი ლოტი; საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის (BRG) პირველი ლოტი; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და სომხეთის რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი (პირველი ლოტი); ფონდისა და ჰელმჰოლცის ცენტრის (იულიხის კვლევითი ცენტრი (FZJ), ჰელმჰოლცის დრეზდენ-როზენდორფის ცენტრი (HZDR) და ჰელმჰოლცის მძიმე იონის კვლევის ცენტრი (GSI) - ერთობლივი საგრანტო პროგრამა; თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო პროგრამა (პირველი ლოტი); შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსი - „შავი ზღვის ლურჯი განვითარება"; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი კვლევითი პროგრამა.

9. რა შეზღუდვები არსებობს პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის სხვა პროექტში ჩართულობასთან დაკავშირებით?

პასუხი: კონკურსში მონაწილეობის უფლება პროექტის **სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით** არ აქვს პირს, რომელიც ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართულია ფონდის მიერ გამოცხადებული და ადმინისტრირებული სამეცნიერო - კვლევითი კონკურსის შედეგად დაფინანსებულ ერთზე მეტ სამეცნიერო კვლევით პროექტში. ეს პირობა გულისხმობს, როგორც კონკურსში წარდგენილ, ასევე უკვე დაფინანსებულ მიმდინარე პროექტებში ჩართულობას. ეს სამეცნიერო-კვლევითი კონკურსებია: ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები - (FR); გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები (AR); მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი (STEM); ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების საგრანტო კონკურსი (YS); საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისთვის სახელმწიფო საგრანტო კონკურსი (HE); ქართველოლოგიის კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი (GSDP); სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსი (SL); სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი პროექტები; უცხოელ თანამემამულეთა მონაწილეობით კვლევების საგრანტო კონკურსი (DI); კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის (CS) პირველი ლოტი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის (OTG) პირველი ლოტი; საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის (BRG) პირველი ლოტი; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და სომხეთის რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი (პირველი ლოტი); ფონდისა და ჰელმჰოლცის

ცენტრის (იულიხის კვლევითი ცენტრი (FZJ), ჰელმჰოლცის დრეზდენ-როზენდორფის ცენტრი (HZDR) და ჰელმჰოლცის მძიმე იონის კვლევის ცენტრი (GSI) - ერთობლივი საგრანტო პროგრამა; თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო პროგრამა (პირველი ლოტი); შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსი - „შავი ზღვის ლურჯი განვითარება"; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი კვლევითი პროგრამა.

მკვლევართა გუნდი

10. სავალდებულოა თუ არა პროექტს ჰყავდეს თანახელმძღვანელი?

პასუხი: თანახელმძღვანელის ჩართვა პროექტში სავალდებულოა კონსორციუმის შემთხვევაში. თანახელმძღვანელი უნდა იყოს ფიზიკური პირი ძირითადი პერსონალიდან, რომელიც არის პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

11. სავალდებულოა თუ არა პროექტს ჰყავდეს კოორდინატორი?

პასუხი: კოორდინატორის ჩართვა პროექტში სავალდებულოა კონსორციუმის შემთხვევაში. კოორდინტორი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე ძირითადი პერსონალიდან.

12. სავალდებულოა თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქის რეგისტრაცია GMUS-ში?

პასუხი: სავალდებულოა პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული პირების ინდივიდუალური რეგისტრაცია GMUS-ში -„მეცნიერის პროფილის" შექმნა. პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული საქართველოს მოქალაქეების „მეცნიერის პროფილი" შევსებული უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე, ხოლო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული უცხო ქვეყნის მოქალაქეების „მეცნიერის პროფილი" - ინგლისურ ენაზე.

13. სავალდებულოა თუ არა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის დიპლომს თან ახლდეს მისი ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი?

პასუხი: უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს უნდა ახლდეს მისი ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და აკადემიური ხარისხი უნდა დასტურდებოდეს იმ ინსტიტუციის ოფიციალური ვებგვერდით/ცნობით, რომელშიც ის მოღვაწეობს.

14. შეუძლიათ თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მონაწილეობა გამოყენებითი კვლევების კონკურსში ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელის პოზიციაზე?

პასუხი: მოქალაქეობაზე შეზღუდვები არ არსებობს, გამონაკლისია კოორდინატორი (კონსორციუმისათვის), რომელიც სავალდებულოა იყოს საქართველოს მოქალაქე.

15. სავალდებულოა თუ არა ძირითადმა პერსონალმა წარმოადგინოს ცნობა სამსახურიდან?

პასუხი: კონკურსის პირობების მიხედვით, ძირითად პერსონალს არ მოეთხოვება სამსახურიდან ცნობის ატვირთვა.

16. თუ ახალგაზრდა მეცნიერი, დოქტორის აკადემიური ხარისხის მფლობელი იქნება ამავდროულად საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი, არის თუ არა ვალდებულება რომ პროექტში იყოს კიდევ დამატებით ახალგაზრდა მეცნიერი?

პასუხი: კონკურსის პირობებით, აუცილებელია პროექტს ჰყავდეს მინიმუმ 1 ახალგაზრდა მეცნიერი. სხვა ტიპის შეზღუდვა ამ მიმართულებით კონკურსის პირობებში არაა გათვალისწინებული.

17. შესაძლებელია თუ არა, რომ ძირითადი პერსონალის უცხოელმა წევრმა ელექტრონულად მოაწეროს ხელი კანცელარიაში მოსატან განცხადებას?

პასუხი: არ შეიძლება, კანცელარიაში წარმოდგენილი განცხადება დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი ე.წ. სველი ხელმოწერებითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). განცხადებაზე უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის ხელმოწერის არქონის შემთხვევაში საჭიროა, განცხადებას თან ერთვოდეს აღნიშნული პირის თანხმობის წერილი, ხელმოწერილი ორიგინალი და მისი ქართული თარგმანი თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული. თანხმობის წერილით უნდა დასტურდებოდეს, რომ იგი გაეცნო კონკურსის პირობებს და თანახმაა კონკურსში მონაწილეობაზე.

ფინანსური ნაწილი

18. პარტნიორი ორგანიზაცია არის თუ არა გრანტის მიმღები?

პასუხი: პარტნიორი ორგანიზაცია არ არის გრანტის მიმღები.

19. შეუძლია თუ არა ფიზიკურ პირს ნატურალური ფორმით თანადაფინანსება ?

პასუხი: არ შეუძლია. კონკურსის პირობებით, ნატურალური ფორმით თანადაფინანსება შესაძლებელია მხოლოდ იურიდიული პირის მიერ.

20. რა ფორმით გამოიხატება ნატურალური ფორმით მხარდაჭერა?

პასუხი: ნატურალური ფორმით მხარდაჭერა შეიძლება მოიცავდეს: ფინანსური აქტივების გადაცემას/ დათმობას, მათ შორის, ძვირადღირებული კვლევითი დანადგარების, აპარატურის ან/და აღჭურვილობის შეძენას ან შეძენისათვის საჭირო საბანკო ვალდებულებების უზრუნველყოფას ან/და დამატებითი პერსონალის დაქირავებას.

21. რა შეზღუდვები არსებობს ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებისა და დამხმარე პერსონალის ანაზღაურებასთან მიმართებით?

პასუხი: ფონდიდან მოთხოვნილი ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებისა და დამხმარე პერსონალის ანაზღაურების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 50%-ს.

22. რა მოთხოვნებია გათვალისწინებული ბიუჯეტში ახალგაზრდა მეცნიერთან დაკავშირებით?

პასუხი: ახალგაზრდა მეცნიერთან დაკავშირებით პროექტის ბიუჯეტში არ არის რამე სახის ფინანსური მოთხოვნა.

23. როგორ უნდა აისახოს GMUS-ში პარტნიორი ორგანიზაციის თანადაფინანსება?

პასუხი: GMUS-ში ორგანიზაციის ველში „დამატებითი თანადაფინანსების“ ველში უნდა მოხდეს პარტნორი ორგანიზაციისგან მიღებული თანადაფინანსების შესახებ ინფორმაციის დამატება, რის შემდეგადაც ბიუჯეტის ველში შეძლებთ თანადაფინანსების თანხების ასახვას.

24. როგორ უნდა აისახოს პროექტის ბიუჯეტში უცხოელი კონსულტანტის შრომის ანაზღაურება?

პასუხი: კონკურსი არ ითვალისწინებს პროექტში უცხოელი კონსულტანტის ჩართვას და მისი შრომის ანაზღაურებას

25. ტექნოლოგიური მზაობის რა დონეებით (TRL) უნდა ვიხელმძღვანელოთ?

ფონდის საგრანტო კონკურსების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით ტექნოლოგიური მზაობის დონეების განსაზღვრა შეგიძლიათ შემდეგი სქემით:

TRL 1 Basic principles observed and reported - ფუნდამენტური პრინციპები შესწავლილია და გამოვლენილია

TRL 2 Technoloy concept and/or application formulated - იდეა/კონცეფცია და მისი გამოყენებითობა ფორმულირებულია

TRL 3 Analytical and experimental proof of concept - იდეა/კონცეფცია ექსპერიმენტულად დამტკიცებულია

TRL 4 Technology validated in laboratory environment - იდეის/კონცეფციის გამოყენებითობა ვალიდურია ლაბორატორიულ/სიმულაციურ გარემოში

TRL 5 Technology validated in relevant environment - იდეის/კონცეფციის გამოყენებითობა ვალიდურია რეალურ/ინდუსტრიულ გარემოში

TRL 6 Technology demontrated in relevant environment -იდეის/კონცეფციის გამოყენებითობა დემონსტრირებულია რეალურ/ინდუსტრიულ გარემოში